იაგო ბერიძე, ვახტანგ დათაშვილი

ბიზნესგარემოზე მოქმედი ძირითადი ფაქტორები, როგორც ეკონომიკის განვითარების ძირითადი წყარო

რეზიუმე

სტატიაში განხილულია ბიზნესგარემოზე მოქმედი ძირითადი ფაქტორები, ასევე არსებული მდგომარეობა, ხელისშემშლელი გარემოებები და მისი განვითარების შესაძლო პერსპექტივები, გაანალიზებულია ძირითადი პირობები ბიზნესგარემოს გაჯანსაღებისთვის, ასევე ჩამოყალიბებულია ის ძირითადი გზები რითაც შესაძლებელი გახდება საქართველოში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდეს საინვესტიციო კლიმატი, რაც საბოლოოდ გაზრდის ქვეყნის ეკონომიკურ პოტენციალს და მიმზიდველს გახდის საერთაშიროსო ასპარეზზე. განხილულია საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შეთანხმების შესახებ ზოგიერთი პირობა, რომელიც ხელს შეუწყოფს ბიზნესგარემოს გაჯანსაღებას და მიმზიდველს გახდის უცხოელი ინვესტორებისთვის.

იაგო ბერიძე
სტუ-ს დოქტორანტი

ვახტანგ დათაშვილი
სტუ-ს პროფესორი

ძირითადი ტექსტი

ბიზნესის განვითარებისთვის აუცილებელია ხელსაყრელი გარემო, რომელიც არის სოციალურ-ეკონომიკურ, პოლიტიკურ, გეოგრაფიულ, ტექნოლოგიურ ფაქტორთა ერთობლიობა, რომელიც ზეგავლენას ახდენს და ზემოქმედებს ბიზნეს გარემოს ფორმირებაზე, და მის ძირეულ პროცესებზე. შეიძლება ითქვას რომ თითოეულ ფაქტორს განსაკუთრებული მნიშვნელობა უჭირავს ბიზნეს გარემოს პროცესებზე, სამართლებრივი სისტემა მნიშვნელოვანი ფაქტორია, რომელიც გავლენას ახდენს ბიზნესის საქმიანობაზე, გეოგრაფიული ფაქტორს ასევე ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი უჭირავს არამხოლოდ ბიზნეს გარემოს ფორმირებაში არამედ ზოგადად კონკურენტუნარიანობის ამაღლებაში საერთაშორისო დონეზე.

განვიხილოთ ბიზნესგარემოზე ზემოქმედების ზოგიერთი ფაქტორი, როგორიცაა:

- ბიზნესის ეკონომიკური გარემო
- ბიზნესის პოლიტიკური გარემო
- სამართლებრივი გარემო

ნებისმიერ ქვეყანაში, სადაც კომპანია აპირებს კაპიტალის დაბანდებას აუცილებელია შეაფასოს პოლიტიკური გარემო, მას მნიშვნელოვანი ყურადღება უნდა მივაქციოთ რადგან სხვადასხვა მიზეზის გამო იგი მოქმედებს კომპანიის ან ცალკეული ინვესტორის საქმიან აქტივობაზე, მაგალითად: იმპორტზე სპეციალური ბაჟის დაწესებით, საგადასახდელო ბალანსის ან საგარეო ვალის გადახდის პრობლემები ართულებენ მოგების სახით მიღებული უცხოური ვალუტის გატანას ქვეყნიდან.

მრავალი კომპანია ახერხებს პოლიტიკური კლიმატის შეფასებას საკუთარ ქვეყანაში, თუმცა პოლიტიკური სიტუაციის სწორად შეფასება მათ უჭირთ, ამის მიზეზი კი ძალიან ბევრია: სამოქალაქო ომები, ტერორისტული აქტები, ასევე კომპანიის საქმიანობის ექსპროპრიაცია, ყოველივე ზემოთ თქმული დროში განსახილველად და საპროგნოზოდ ძალიან რთულია და საქმიანი ოპერაციებისთვის დიდ საფრთხეს წარმოადგენს,

პოლიტიკური გარემოს შეფასებისათვის არსებობს რისკების შეფასება ანუ პოლიტიკური რისკების სისტემატური ანალიზის პროცედურა, პოლიტიკური რისკი ესაა შესაძლო ცვლილება პოლიტიკურ პირობებში, რომელმაც შეიძლება უარყოფითი გავლენა მოახდინოს კომპანიის საქმიანობაზე და შესაბამისად მის შემოსავლებზე.

პოლიტიკური რისკი შეიძლება დავყოთ სამ კატეგორიად

- საკუთრების დაკარგვის რისკი
- ოპერაციული რისკი, როდესაც კომპანიას მიმღებ ქვეყანაში პრობლემა ექმნება კანონებისა და ნორმატიული აქტების ცვლილების გამო, შეიარაღებული აჯანყების, ტერორიზმის და სხვა მიზეზების გამო
- ტრანსფერტული რისკი, როდესაც ქვეყანა ზღუდავს კომპანიის შესაძლებლობებს

გადარიცხოს ფულადი სახსრები ქვეყანაში და მის ფარგლებს გარეთ.

აუცილებელია რომ ნებისმიერი ქვეყანა, რომლის მიზანია უცხოურ ბაზარზე შესვლა გაითვალისწინოს პოლიტილური რისკები და სწორად შეაფასოს იგი, რისკების სწორად შეფასებისთვის კი უნდა ფლობდეს ძირითად ინფორმაციას ქვეყნაში მიმდინარე პროცესების შესახებ, ასევე ნიშანდობლივია რომ ეს ინფორმაცია უნდა იყოს უტყუარი და სანდო, რათა მოხდეს შემდეგი მისი სწორი ანალიზი და დასკვნის გამოტანა უღირს თუ არა კომპანიას ახალ ბაზარზე შესვლა, ასევე აუცილებელია რომ კომპანიის მენეჯერებმა დაადგინონ ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიკური სტრუქტურა, კონკრეტულად როგორია ქვეყნის პოლიტიკური წყობა, ქვეყანაში დომინირებს საბაზრო ურთიერთობები თუ სახელმწიფო რეგულირების პრინციპები, როგორია მთავრობის დამოკიდებულება უცხოურ კომპანიებთან, რამდენად მყარია არსებული მთავრობის მდგომარეობა და მათი შეცვლით ხომ არ გამოიწვევ ძირეულ ცვლილებებს ეკონომიკურ პოლიტიკაში.

ეკონომიკური გარემო მნიშვნელოვნად მოქმედებს ბიზნესის განვითარებაზე, როგორც წესი იგი კლასიფიცირდება სამ სახედ:

- კაპიტალისტური
- სოციალისტური
- შერეული

ეკონომიკური გარემო შეიძლება დავყოთ ასევე რესურსების განაწილებისა და კონტროლის მეთოდის მიხედვით, საბაზრო ეკონომიკა, საკუთრების ტიპის მიხედვით, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ საქართველოში დაიწყო რთული და შრომატევადი გარდამავალი პერიოდი, საიდანაც დაიწყო ეკონომიკური რეფორმების გატარება, რომლის პირველი ტალღა იყო საკუთრების უფლების აღიარება, ზრუნვა და ბიზნესის განვითარებისთვის სათანადო გარემოს შექმნა.

ბიზნესსუბიექტი რომელიც ახდენს საქმიანობას და ფუნქციონირებს პირობითად იყოფა ორ ნაწილად: გარე გარემო და შიდა გარემო, ეკონომიკური გარემოს გარე და შიდა სფეროების ანალიზისთვის უმეტესწილად, აუცილებელია რომ ეკონომიკური გარმეს შესწავლის დროს ყურადღება მიექცეს ისეთ საკითხებს როგორიცაა: ეკონომიკური ზრდის ტემპები, ინფლაციის ტიპის, კურსის დინამიკის , ფულადი აგრეგატის ცვლილებათა ტემბეპი, უმუშევრობის დონე, საგადამხდელო ბალანსისა და ბიუჯეტის მდგომარეობა და მდგრადობა, SWOT ანალიზით შესაძლებელია გამოვავლინოთ ცალკეული ქვეყნების ძლიერი და სუსტი მხარეები რათა მივიღით საბოლოო სწორი შეფასება.

ქვეყნის სამართლებრივი სისტემა დიდ ზეგავლენა ახდენს ბიზნესსუბიექტების საქმიანობაზე, მენეჯმენტს წარმოდგენა უნდა ქონდეთ იმ ქვეყნის სამართლებრის სისტემაზე სადაც გეგმავენ ბაზრის ათვისებას, რადგან ცალკეულ სახელმწიფოთა სამართლებირივ ორგანიზაცია განიცდის ზემოქმედაბს სხვადასხვა ინსტიტუტების მხრიდან, და არსებითად განსხვავდება ამა თუ იმ სახელმწიფოში მოქმედი სამართლებრივი სისტემებისა

სამეწარმეო სამართალი და სხვა ნორმები ბევრად არის დამოკიდებული საზოგადების განვითარებისა და შესაბამისად ბიზნესის ცივილურობის დონეზე, შესაბამისად ბიზნესსა და სამართალს შორის მყარდება ორმხრივი ურთიერთობა სადაც ერთის მხრივ სამართალი აწესრიგებს, არეგულირებს ბიზნესს, მეორეს მხრივ კი ბიზნესი ახდენს სამართლებრივი ნორმების სრულყოფასა და განვითარებას.

ბიზნესგარემოს ერთ-ერთი განმსაზღვრელი ფაქტორია სამართლებრივი უზრუნველყოფა. კანონები, რომლებიც საქართველოში უშუალოდ ბიზნესგარემოს და საინვესტიციო საქმიანობას არეგულირებს თანდათანობით იხვეწება და სრულყოფილი ხდება, შესაბამისად უმჯობესდება ბიზნესის სამართლებრივი გარემო, როგორიცაა: საქართველოს კანონი მეწარმეთა შესახებ, საქართველოს კანონი კონკურენციის სააგენტოს შესახებ, საქართველოს კანონი რეკლამის შესახებ, საქართველოს კანონი სასაქონლო ნიშნების შესახებ, საქართველოს კანონი მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ, საგადასახადო კოდექსი და სხვა.

ბიზნესგარემოს გაუმჯობესებისა და მეწარმეობის ხელშეწყობის მიზნით, უნდა გაგრძელდეს შემდეგი პოლიტიკა:

- დაცული უნდა იქნეს საკუთრების უფლების ხელშეუვალობის პრინციპი
- დაიხვეწოს სამოქალაქო, საგადასახადო სამეწარმეო გადახდისუუნარობის აღსრულებისა და დავების მოგვარების მარეგულირებელი კანონმდებლობა
- აუცილებელია შეიქმნას სპეციალური საგადასახადო რეჟიმები, რომლებიც მიიზიდავს მულტინაციონალურ კომპანიებს

აუცილებელია შეიქმნას სახელმწიფოსა და ბიზნესს შორის ეფექტიანი ურთიერთობებისთვის ერთიანი სივრცე რითაც იოლი გახდება ნებისმიერი ინფორმაციის სწრაფად მიღება და შესაბამისად ნაკლები რესურსი დაიხარჯება. აუცილებელია ინვესტიციების დაცვის მიზნით გაძლიერდეს საკანონდებლო ჩარჩო, უნდა დაიხვეწოს კანონი ინვესტიციების შესახებ, რითაც საქართველოში ადგილობრივი და უცხოელი ინვესტორებისთვის გაიზრდება მხარდაჭერა, უნდა დადგინდეს საკანონმდებლო ნორმა-პრინციპები, რომლებიც ინვესტრორებითვის უზრუნველყოფენ მოქმედი ლიბერალური ნორმებისა და შეღავათების შენარჩუნებას გარკვეული ვადით, რათა მოხდეს ბიზნესის თავისუფალ გარემოში დაგეგმვა და არ ჰქონდეს ინვესტიციების განხორციელების შემდგომ რეგულაციების შეცვლის მოლოდინი.

ბიზნესგარემოს გაუმჯობესების და ჯანსაღი საინვესტიციო კლიმატის შექმნის ახალ ეტაპზე გადაჰყავს საქართველოსა და ევროკავშრის შორის ასოცირების შესახებ შეთანხმება, რამეთუ შეთანხმება მოიცავს სხვადსხვა უფლებეთან ერთად ასევე ვალდებულებებს, რაც გულისხმობს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისობაში მოყვანას ევროკავშირის კანონმდებლობასთან დათქმულ ვადაში და ევროპული სტანდარტების დამკვიდრებას, ის ზოგიერთი ვალდებულებები, რომლებიც ეტაპობრივად უნდა შეასრულოს საქართველოს კანონმდებლობის დაახლოება ევროკავშირის კანონმდებლობასთან შემდეგ სფეროებშია:

- გადასახადებისის ადმინისტრირება
- ოპერაციები ევროკავშირის შიგნით
- იმპორტი და ექსპორტი
- საერთაშორისო ტრანსპორტი და ვაჭრობა

მიმაჩნია რომ თითოეული ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტორის გაუმჯობესება ხელს შეუწყობს ბიზნესგარემოს გაჯანსაღებას და მიმზიდველს გახდის საქართველოს უცხოელი ინვესტორებისთვის. შესაბამისად მთელი ენერგია მიმართული უნდა იყოს რეფორმებისაკენ რაც საბოლოოდ საქართველოს ეკონომიკის განვითარების ძირითადი წყარო იქნება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. შენგელია თ., გლობალური ბიზნესი, „ახალი საქართველო“.
2. შენგელია თ., 2011. საერთაშორისო ბიზნესი,
3. პაპავა ვლ. თაფლაძე თ, 2013 საქართველოს ეკონომიკური განვითარების ძირითადი ტენდენციებისა და პერსპექტივების შესახებ. ჟ. „ეკონომისტი“ 2.
4. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია-საქართველო 2020
5. http://www.economy.ge/
6. http://www.parliament.ge/

Key factors affecting the business environment as a major source of economic development

Iago Beridze, PhD student
Georgian Technical University

Vakhtang Datashvili, professor
Georgian Technical University

Summary

The article discusses the main factors affecting the business environment, as well as the current situation, impediments and possible prospects for its development, analyzes the main conditions for improving the business environment, and outlines the main ways to significantly improve the investment climate in Georgia. . Some conditions of the Association Agreement between Georgia and the European Union are discussed, which will help improve the business environment and make it attractive for foreign investors.